



European School LLC
შპს ევროპული სკოლა

შპს „ევროპული სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმა



2022–2023 სასწავლო წელი

თბილისი, 2022



2 I. Skhirtladze Str. Tbilisi, 0177, Georgia
Tel: (032) 239 59 64,
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge
ს/კ: 205172917

1. შესავალი

შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში - „სკოლა“ ან „ევროპული სკოლა“) სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ითვალისწინებს საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციისა და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის მოთხოვნებს. სკოლის სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. სასწავლო გეგმა ორიენტირებულია პიროვნების განვითარებაზე, რომლის ცენტრშიც დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლის სავალდებულო დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დასრულებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შემენის საშუალებათა აღწერას.

სკოლის სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით. ეს მოთხოვნა, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აისახება საგნობრივი პროგრამების სტრუქტურაში. საგნობრივი პროგრამების ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს საგნის სწავლების ამოცანებს და იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს.

2. სკოლის მისია

ჩვენი მისია

“ევროპული სკოლა” მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია “ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. “ევროპულ სკოლაში” სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და

ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღვით, რათა:

- შევექმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვახორციელოთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მადიებლების ჩამოყალიბებას.

3. სასკოლო სასწავლო გეგმა

3.1. სკოლის სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ხოლო საერთაშორისო პროგრამის/სექტორის კლასებში ითვალისწინებს საერთაშორისო ბაკალავრიატისა და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის მოთხოვნებს.

3.2. სკოლის მასწავლებლების და საგნობრივი დეპარტამენტების მონაწილეობით შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

3.3. სასკოლო სასწავლო გეგმა მტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

3.4. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ დატვირთვას, განსაზღვრავს დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებას, გეგმავს სასკოლო-საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

4. სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები

4.1. ევროპულ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი იყოფა სამ საფეხურად:

– **ეროვნული სასწავლო გეგმით მომუშავე კლასები:**

- დაწყებითი საფეხური - I-VI კლასები;
- საბაზო საფეხური - VII – IX კლასები;
- საშუალო საფეხური - X-XII კლასები.

– **საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამით მომუშავე კლასები:**

- PYP - I-V კლასები;
- MYP - VI – X კლასები;
- DP - XI-XII კლასები;
- CP - XI კლასი.

– **ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამა (AHS):**

- AHS - VIII - XII კლასები.

4.1.1. ქართული ენის პარალელურად ევროპულ სკოლაში საერთაშორისო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, რაც ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო

პროცესის ინტერნაციონალიზაციას.

4.2. ზოგადი განათლების საფეხურების ამოცანები

4.2.1. დაწყებითი საფეხურის მისია

დაწყებითი საფეხურის მისიაა:

- ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

4.2.2. საბაზო საფეხურის მისია

საბაზო საფეხურის მისიაა:

საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

4.2.3. საშუალო საფეხურის მისია

საშუალო საფეხურის მისიაა:

- ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

4.3. სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები

4.3.1. სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

- პრობლემების გადაჭრა;
- კრიტიკული აზროვნება;
- შემოქმედებითი აზროვნება;
- თანამშრომლობა;
- კომუნიკაცია;
- ეთიკა;
- მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა;
- დროსა და სივრცეში ორიენტირება;
- კვლევა;
- სწავლის სწავლა,
- დამოუკიდებლად საქმიანობა;
- პასუხისმგებლობა;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

- წიგნიერება.

4.3.2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოიყოფა პრიორიტეტული თემები:

- ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ბ) გარემოს დაცვა;
- გ) ჯანსაღი ცხოვრება;
- დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;
- ე) კონფლიქტების მართვა;
- ვ) ფინანსური წიგნიერება;
- ზ) კულტურული მრავალფეროვნება;
- თ) ადამიანის უფლებები.

4.4. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას;
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა);
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

4.5. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

- მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა;
- სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა;
- სიღრმისეული სწავლება;
- მოსწავლეთა ჩართულობა.

4.6. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

4.6.1. სასწავლო წლის კალენდარი

1. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად, მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.
2. სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არის 37, ხოლო I და XII კლასებისთვის 33.
3. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლება. მეექვსე დღე (შაბათი) შეიძლება გამოყენებული იქნეს კლუბური და წრეობრივი მუშაობისთვის.
4. გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი და მეორე კლასები, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 და 40 წუთია.

გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებული იქნეს გამონაკლისი ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა სასწავლო პროცესის დროის შემცირების მიზნით.

5. გაკვეთილებს შორის შესვენება განისაზღვრება 5,15, 30 წუთით.

6. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 15-20 მოსწავლით. კლასებში მოსწავლეები იყოფიან უცხოურ ენებში, მათი რაოდენობა გაყოფის შემთხვევაში შეადგენს 8–10 მოსწავლეს. მეორე უცხოურ ენაში შესაძლებელია ერთი საფეხურის ფარგლებში სხვადასხვა კლასის მოსწავლეები დაჯგუფდნენ ენის ფლობის დონეების მიხედვით.

4.7. დისტანციური სწავლება

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას, სასკოლო სასწავლო გეგმის 4.6 პუნქტში შემავალი საკითხები დარეგულირდება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 09 სექტემბრის 95/ნ ბრძანების შესაბამისად.

4.8. სკოლის საერთო კულტურა

4.8.1. სკოლა, საერთო სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზნით, ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემის, თანასწორობის, ტოლერანტობის და პარტნიორობის პრინციპების დაცვას. სკოლის საქმიანობა მიმართულია შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნისაკენ სკოლის საზოგადოების წევრებისთვის. სკოლა საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების საშუალებით ხელს უწყობს და აქტიურად ანვითარებს სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს, რომლებშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლებიც არიან ჩართულნი.

4.9. დამრიგებელი

4.9.1. სასწავლო და საადმინისტრაციო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით ყველა კლასს სასწავლო წლის დასაწყისში ენიშნება დამრიგებელი, რომლის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. დამრიგებელი უვითარებს მოსწავლეებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. დამრიგებლის მუშაობა ემყარება აღზრდის მთლიანობის, შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდის, მოსწავლეთა ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპს. კლასის დამრიგებლების საქმიანობა წარიმართება სკოლის მიერ შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით.

5. საგნობრივი დეპარტამენტები

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნილი 7 დეპარტამენტი:

1. ენებისა და ლიტერატურის;

2. მათემატიკის;
3. საზოგადოებრივ მეცნიერებათა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა;
5. ინოვაციური ტექნოლოგიების;
6. ხელოვნების;
7. სპორტის.

დეპარტამენტების ფუნქციები:

- ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- ბ) დეპარტამენტის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- გ) საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების განხორციელება;
- დ) საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა; სასწავლო პროგრამების მიხედვით, დამხმარე სასწავლო მასალისა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება;
- ე) სხვა დეპარტამენტებთან კოორდინირებული მუშაობა;
- ვ) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- ზ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- თ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, კომპლექსური დავალებების რაოდენობის განსაზღვრა, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
- ი) საგნობრივი დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქციები განისაზღვრება საგნობრივი დეპარტამენტების დებულებით:

- დეპარტამენტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით, დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
- ა) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტის შეხვედრებს (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
 - ბ) უზრუნველყოფს სკოლის მართვის ორგანოებისათვის დეპარტამენტის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდებას;
 - გ) შეიმუშავებს დეპარტამენტის მუშაობის წლიურ გეგმას;
 - დ) უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მონიტორინგს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის დადგენის მიზნით; უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას; საჭიროების შემთხვევაში, ხარვეზების შესახებ ინფორმაციას აწვდის სკოლის დირექტორს და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებს;
 - ე) ახორციელებს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლების დაგეგმვას,

კოორდინაციასა და შეფასებას დეპარტამენტის მასწავლებელთათვის/დეპარტამენტში დასაქმებულ სხვა პირთათვის სწავლების შინაარსის, ფორმების, მეთოდოლოგიებისა და რესურსების შესახებ დახმარების გაწევით;

ვ) დეპარტამენტის მასწავლებელთა/დეპარტამენტში დასაქმებულ სხვა პირთა პროფესიული საჭიროებებიდან გამომდინარე, ახორციელებს მათთან კომუნიკაციას და ინდივიდუალურ შეხვედრებს სირთულეების დამლევის მიზნით;

ზ) ხელს უწყობს დეპარტამენტის მასწავლებელთა/დეპარტამენტში დასაქმებულ სხვა პირთა პროფესიულ განვითარებას, მათთვის ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეების მიზნით;

თ) ადგენს სასწავლო წლისათვის დეპარტამენტის მუშაობის სამოქმედო გეგმას სასწავლო პროგრამების სპეციფიკურობის გათვალისწინებით;

ი) გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს დეპარტამენტის ეფექტურად მუშაობისათვის;

კ) ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით/სამუშაო აღწერილობით და სკოლის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს, ასევე სკოლის დირექტორის დავალებებს.

დეპარტამენტი იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. დეპარტამენტი აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

დეპარტამენტების საქმიანობა წარიმართება სკოლის მიერ შემუშავებული დეპარტამენტის დებულების მიხედვით.

6. საგანმანათლებლო რესურსები

6.1. საგანმანათლებლო რესურსების მართვა

• სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის.

• სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო მაღალტექნოლოგიური რესურსების (ბიბლიოთეკა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორიები) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

• სკოლა აცნობს მოსწავლეებს სკოლაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის შესაბამის წესებს.

6.2. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) სასკოლო სახელმძღვანელოები;

ბ) დამხმარე ლიტერატურა;

გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);

ე) ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.

6.3. სახელმძღვანელოები

6.3.1. სახელმძღვანელოებს ირჩევენ მასწავლებლები/საგანობრივი დეპარტამენტები.

6.3.2. სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოების სია იდება სკოლის ვებ-გვერდზე და ან თავსდება საინფორმაციო დაფაზე სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

6.3.3. მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას მხოლოდ დამხმარე (დამატებითი) მასალის

სახით, გამოიყენოს ნებისმიერი სასწავლო მასალა, რომელიც შერჩეულია საგნობრივი დეპარტამენტების მიერ.

6.3.4. იმ კლასებში, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, გამოიყენება ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც რეკომენდირებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის კურიკულუმებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების მიერ ან ამერიკული პროგრამით.

6.3.5. ციფრული სწავლების და ტექნოლოგიების გამოყენების ხელშესაწყობად, ევროპული სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს აქვთ წვდომა მსოფლიოს უდიდეს ელექტრონულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებზე (JSTOR, Britannica, Learning A-Z).

მოსწავლეებს და მასწავლებლებს აქვთ ინდივიდუალური მომხმარებლის ანგარიშები, რაც მათ აძლევს საშუალებას ისარგებლონ ამ რესურსით სკოლის ფარგლებს გარეთაც.

6.3.6. ყოველ სასწავლო წელს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოთხოვნის გათვალისწინებით ხდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (ელექტრონული/ბეჭდური) განახლება.

6.4. დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურება

6.4.1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებითი საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურებას.

დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურება ითვალისწინებს სავალდებულო საგნის სახით სტანდარტს ზევით სწავლებას შემდეგ საგნებში:

- ა) ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების პროგრამა (I – XII კლასები);
- ბ) რუსული ენის სწავლება (I – XII კლასები);
- გ) გერმანული/ფრანგული ენის სწავლება (V – XII კლასები);
- დ) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება (I – VIII კლასები);
- ე) რობოტიკის საფუძვლების სწავლება (I – VII კლასები).

დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კლასის ყველა მოსწავლისთვის.

6.4.2. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურებას:

ა) გახანგრძლივებული რეჟიმი - წინამდებარე საადმინისტრაციული პროგრამა საშუალებას აძლევს ბავშვს დაასრულოს და შეავსოს სწავლების მრავალმხრივი, ამოუწურავი საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამით და ეროვნული სასწავლო გეგმით, ასევე მშობელს მისცემს საშუალებას სამუშაოდან მოუწყვეტლივ გარანტირებული იყოს მისი შვილის კვება, აღზრდა და მეცადინეობა სამუშაო დღის დასრულებამდე.

ბ) შემეცნებითი კლუბები (ეკო-კლუბი, რობოტიკის კლუბი, ქიმიის მოყვარულთა კლუბი) აღნიშნული კლუბების მიზანია ყველა იმ გაუცემელ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც დაებადება მოსწავლეს სკოლასთან ურთიერთობის პერიოდში და რომელიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო გეგმით.

გ) ჭადრაკი - როგორც გონების ვარჯიში, ლოგიკური და თანამიმდევრული აზროვნების განვითარების ერთ-ერთი საშუალება, რომელიც აყალიბებს ბავშვის ფიქრის, ანალიზის უნარს.

დ) შემოქმედებითი აქტივობა - აღნიშნული დისციპლინა მოიცავს მოსწავლეთა თეატრალურ, სატელევიზიო, სამუსიკო, სამხატვრო კლუბებს, რომლებიც ფუნქციონირებს სკოლის გარემოში.

6.4.3. ზემოაღნიშნულის გარდა მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში შექმნილია უცხო ენებისა და კულტურის კლუბები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განვიითარონ სხვადასხვა უნარ-ჩვევები და გაიღრმანონ ცოდნა ამა თუ იმ უცხო ენასა და კულტურაში. სკოლაში მოქმედებს შემდეგი კლუბები:

- ა) რუსული ენის კლუბი;
- ბ) ფრანგული ენის კლუბი;
- გ) ჩინური ენის კლუბი;
- დ) მენტალური მათემატიკის კლუბი (საშაბათო სკოლა);
- ე) მათემატიკისა და ლოგიკის კლუბი.

6.5. სასკოლო საათობრივი ბადე

6.5.1. სასკოლო საათობრივი ბადე განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

6.5.2. სასკოლო საათობრივ ბადეში აღინიშნება როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე დამატებითი სავალდებულო საგნები.

6.6. ინკლუზიური განათლება

სკოლაში შემუშავებულია ინკლუზიური სწავლების დებულება, რომელიც განსაზღვრავს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების არსებობის შემთხვევაში, მათთან მუშაობის მიმართულებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

6.7. მოსწავლის სკოლაში მობილობა

მოსწავლის სკოლაში მობილობის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია მოსწავლისთვის შედგენილი საგნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საშუალებით უზრუნველყოს მოსწავლის მიერ იმ სავალდებულო საგნის სტანდარტის შედეგების დაფარვა, რომელიც საგანიც მას ჯერ არ ჰქონდა გავლილი იმ სკოლაში, საიდანაც გადმოვიდა, და/ან მიმღებ სკოლაში ამ საგნის სწავლება უკვე დაწყებულია ან დასრულებული.

7. აკადემიური შეფასების წესი

სკოლის მოსწავლეთა შეფასების სისტემის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და კონტროლს. სკოლაში მოქმედმა შეფასების სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა იძლევა მოსწავლის სხვადასხვა ტიპის დავალებებით შეფასების საშუალებას. კერძოდ, ეს ფორმებია: ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა, კომპლექსური დავალება და სხვა.

სკოლაში მოქმედებს შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო შეფასების სისტემა და ნიშნების გამოანგარიშებისა და მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარების წესი, რომელიც აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამისა და ამერიკული პროგრამის მოთხოვნათა საფუძველზე.

შეფასების კრიტერიუმებზე და რუბრიკებზე დაფუძნებული შეფასება უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდობას და ეყრდნობა კონკრეტულ, გაზომვად შეფასების კრიტერიუმებს, რაც მიიღწევა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის როგორც პოტენციალის გამოვლენას, ასევე იმის დადგენას, თუ რა მიმართულებით ესაჭიროება მას დამხმარება. თითოეული საგნისთვის და კლასისთვის მოსწავლეთა შეფასების მეთოდების შერჩევა, შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების შემუშავება ხორციელდება ევროპული სკოლის საგნობრივ დეპარტამენტებში, ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით.

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომლის შეფასების საგანიცაა სწავლის პროცესი და განმავითარებელი, რომლითაც ფასდება სწავლის შედეგი, რასაც ემსახურება კომპლექსური დავალებების SOLO ტაქსონომიით შეფასება, რომელიც მოსწავლეთა სწავლის დინამიკას უკეთ გამოკვეთს. ქართული პროგრამის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით, ხუთი დონის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.

| ქულები | შეფასების დონეები |
|--------|-------------------|
| 10 | მაღალი |
| 9 | |
| 8 | საშუალოზე მაღალი |
| 7 | |
| 6 | საშუალო |
| 5 | |
| 4 | საშუალოზე დაბალი |
| 3 | |
| 2 | დაბალი |
| 1 | |

შეფასების ათქულიანი სისტემის შემთხვევაში:

1. I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის

წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

2. V (მეორე სემესტრი)-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში. საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებში - სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი და/ ან ზეპირი ფორმით).

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი).

თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

3. V-XII კლასებში საგანში "სპორტი" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით.

- V (მეორე სემესტრი)-XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
- V კლასის II სემესტრიდან X კლასის ჩათვლით, რობოტიკის საგანში მოსწავლე ფასდება ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

4. მოსწავლე "აბიტურის საათის" ფარგლებში შესაძლებელია შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

ევროპულ სკოლაში დანერგულია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემა, რომელიც პერიოდულად გამოიყენება გაკვეთილებზე, განსაკუთრებით პრეზენტაციების დროს. შიდასასკოლო კონტროლის ფარგლებში სემესტრის განმავლობაში ტარდება სასკოლო წერები სხვადასხვა საგანში. წერების შედეგებს ანალიზებს შესაბამისი საგნობრივი დეპარტამენტი და მის საფუძველზე იგეგმება მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა.

მოსწავლეთა შეფასებით მიღებული შედეგები სისტემატურად განიხილება საგნობრივ დეპარტამენტებში, კეთდება აკადემიური მოსწავლის ღრმა ანალიზი, ერთობლივად მუშავდება გამოვლენილი პრობლემების დაძლევის გზები, იგეგმება მისი გაუმჯობესების შემდგომი მექანიზმები. შედეგების მუდმივი მონიტორინგი ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური მოსწავლის გაუმჯობესებას. ევროპული სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია აკადემიური წარმატებისა და სკოლის ცხოვრებაში აქტიური მოსწავლეების წახალისების საკითხები. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით განისაზღვრება იმ მოსწავლეთა სია, რომლებიც წარდგენილ იქნებიან ააიპ „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდი“-ს მიერ დაწესებულ გრანტზე.

8. ძირითადი მეთოდური ორიენტირები:

8.1. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

- ყველა მოსწავლე არის განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

- სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლაზე და განვითარებაზე.
- სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.

8.2. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა

- განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება.
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი პირად მაგალითზე აჩვენებს მოსწავლეს, რას ნიშნავს სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა.

8.3. სიღრმისეული (გაღრმავებული) სწავლება

სიღრმისეული სწავლება გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.

8.4. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააგებინოს მოსწავლეს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

8.5. დისციპლინა

სკოლა უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს. სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს მასწავლებლის მაგალითი და მოსწავლის მიერ სკოლისადმი კუთვნილების გააზრება.

სკოლის მიერ მოსწავლეების მიმართ დადგენილი და გამოყენებული ადმინისტრაციული ზომები და დისციპლინური ღონისძიებები არ უნდა ლახავდეს მოსწავლეთა ღირსებას და უფლებებს. დისციპლინის მხრივ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და დისციპლინარული კომიტეტის დებულება, რომელსაც ყველა მოსწავლე უნდა იცნობდეს.

8.6. მოსწავლეთა ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრიდან განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.

9. სავალდებულო და არჩევითი საგნები

9.1. საგნების დაჯგუფების მთავარი პრინციპები:

1. ევროპულ სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში:

- ა) სახელმწიფო ენა;
- ბ) მათემატიკა;
- გ) უცხოური ენები;
- დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
- ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ვ) ტექნოლოგიები;
- ზ) ესთეტიკური აღზრდა;
- თ) სპორტი.

2. საგნობრივი ჯგუფები, საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით, მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს.

3. საგნობრივი ჯგუფები აერთიანებს მსგავსი მიზნებისა და შესწავლის სფეროების მქონე დისციპლინებს.

4. საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნები ისწავლება სავალდებულო და/ან არჩევითი სახით ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.

5. დაწყებით საფეხურზე საგნებს შორის ინტეგრაციის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც საგნები უფრო სპეციალიზებულად ისწავლება. სასწავლო პროცესში ამ საგნების შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნასთან ერთად ყურადღება ექცევა უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება-განვითარებას.

6. X-XII კლასებში ხდება მოსწავლეთა მიერ საკუთარი ინტელექტუალური მიდრეკილებების განსაზღვრა და განვითარება. ამ კლასებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ, სავალდებულო საგნებთან ერთად დამატებით აირჩიონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური მიმართულების საგნები.

სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფს წარმოადგენს სავალდებულო საგანი: ქართული ენა და

ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლასებში).

სახელმწიფო ენის შესწავლამ მოზარდს უნდა განუვითაროს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) საქართველოს სახელმწიფო ენაზე/ენებზე. ამ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნების შესწავლის მიზანია მოსწავლეებში მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების, საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, კითხვისა და სხვადასხვა შინაარსის ტექსტების შექმნის უნარის განვითარება; ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის აღძვრა; მოსწავლეთა წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება. ქართულს, როგორც მეორე ენას, სწავლობენ ის მოსწავლეები, საერთაშორისო სასწავლო პროგრამით მომუშავე კლასებში, რომელთათვისაც ქართული არ წარმოადგენს მშობლიურ ენას.

მათემატიკა

1. მათემატიკის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი მათემატიკა (ისწავლება I-XII კლასებში).
2. მათემატიკისა და ჭადრაკის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნებისა და კვლევის უნარ-ჩვევის გამომუშავება. აღნიშნული საგნების სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

უცხოური ენები

1. უცხოური ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
 - ა) პირველი უცხოური ენა (დომინანტი) – ინგლისური – (ისწავლება I-XII კლასებში);
 - ბ) მეორე უცხოური ენა – რუსული – (ისწავლება I- XII კლასებში);
 - გ) მესამე უცხოური ენა – გერმანული/ფრანგული – (ისწავლება V-XII კლასებში).
2. უცხოური ენების სწავლებამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად ორ-სამ ენაზე კომუნიკაციის უნარი.
3. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. ყველა სხვა საგნობრივი ჯგუფის მსგავსად, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას.
4. უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტები შედგენილია ენის ფლობის დონეების მიხედვით.
5. სკოლა მეორე უცხო ენად სთავაზობს რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, ლათინურ ენებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
 - ა) მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში);
 - ბ) ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);
 - გ) საქართველოს და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII- VIII- IX, XI -XII კლასებში);
 - დ) საქართველოს ისტორია (ისწავლება IX კლასში);
 - ე) მსოფლიო ისტორია (ისწავლება X კლასებში);

- ვ) გეოგრაფია (ისწავლება VII- VIII, X კლასებში);
- ზ) საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);
- თ) გლობალური გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
- ი) გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
- კ) მოქალაქეობა (ისწავლება VII-VIII- IX-X კლასებში);
- ლ) სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (ისწავლება XII კლასში).

2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- ა) ბუნებისმეტყველება (ისწავლება I – VI კლასში);
- ბ) ბიოლოგია (ისწავლება VII -XI კლასებში);
- გ) ფიზიკა (ისწავლება VII-XI კლასებში);
- დ) ქიმია (ისწავლება VIII-XI კლასებში).

2. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს შეიძინოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

ტექნოლოგიები

ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) (ისწავლება I-VIII კლასებში) და რობოტექნიკის საფუძვლები (ისწავლება I-VII კლასებში).

ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას, კრიტიკული და კრეატიული უნარების განვითარებას;
- დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა დარგისათვის სპეციფიკური ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორც სხვადასხვა საგანთან ინტეგრირებული სწავლებისას, ასევე ცალკე სწავლების გზით;
- დაეხმაროს მოსწავლეებს რეალურ პრობლემების გადაწყვეტაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან თანამშრომლობით;
- მისცეს მოსწავლეებს საჭირო ცოდნა და უნარები, რომ მათ შეძლონ შეიმუშაონ და განახორციელონ ეფექტური, ეკონომიური და კრეატიული გადაწყვეტილებები ინდივიდების, საზოგადოების საჭიროებებისთვის;

- მიიღონ საწყისი გამოცდილება პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაში;
- დაეხმაროს მოსწავლეებს აბსტრაქტული ცოდნის გამოყენებით შექმნან რეალური პროდუქტები და ახალი ტექნოლოგიები;
- დაეხმაროს მოსწავლეებს გახდნენ პასუხისმგებლიანი, ინოვაციური ციფრული მოქალაქეები, რომლებიც უსაფრთხოდ შეძლებენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეებს პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ სწავლაზე და განვითარებაზე.

ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I-IX კლასში);
- ბ) მუსიკა (ისწავლება I-IV კლასში);
- გ) დრამა (ისწავლება II- VII კლასში).

2. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშების აღქმის, შეფასებისა და შექმნის უნარები; დაეხმაროს მათ ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში.

სპორტი

1. სპორტის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგნები:

- ა) ფიზიკური აღზრდა (ისწავლება I-VI კლასებში);
- ბ) ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ისწავლება VII-XII კლასებში).

2. სპორტის სწავლების მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე, საგნის სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

3. სსსმ მოსწავლეები (კერძოდ, ფიზიკური პრობლემების მქონე: ეტლით მოსარგებლე, გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე, მხედველობისა და სმენის დარღვევის მქონე და სხვ.) სპორტის გაკვეთილებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

არჩევითი საგნები

1. არჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეული რამდენიმე საგნის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროში და უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნან საკუთარი მიდრეკილებებისა და მომავალში ასარჩევი გეზის შესახებ.

2. X-XII კლასებში მოსწავლემ უნდა ისწავლოს არჩევითი საგნები 5 სემესტრის განმავლობაში.

3. არჩევითი საგანი შეიძლება იყოს ერთმოდულიანი ან ორმოდულიანი. შესაძლებელია, მოსწავლემ ისწავლოს ორმოდულიანი საგნის მხოლოდ პირველი მოდული. გამონაკლისია არჩევითი საგანი "მესამე უცხოური ენა", რომელიც მოცემულია ენის ფლობის დონეების მიხედვით. ამ საგნისთვის გამოიყენება უცხოური ენის არსებული საგნობრივი პროგრამა.

4. არჩევითი საგნის თითოეული მოდული ფასდება ცალ-ცალკე.

5. არჩევითი საგნები ისწავლება კვირაში ორსაათიანი დატვირთვით.
6. XII კლასის მეორე სემესტრში არჩევითი საგნები არ ისწავლება.
7. არჩევითი საგნების სწავლებისას შესაძლებელია კლასი დაკომპლექტდეს საშუალო საფეხურის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისგან.
8. არჩევითი საგნების ნუსხა:

| საგნის დასახელება | სემესტრის რაოდენობა | მოდულის რაოდენობა | კლასი |
|----------------------------|---------------------|-------------------|--------|
| 1. ეკონომიკა და სახელმწიფო | 2 | 1 | XI/XII |
| 2. სახელმწიფო და სამართალი | 2 | 1 | XI/XII |
| 3. ეთნოგრაფია | 2 | 1 | X |

„აბიტურის საათი“ (დამატებითი საათი)

სავალდებულო და არჩევითი საგნების გარდა მეთორმეტე კლასის საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ე.წ. „აბიტურის საათები“ იმ საგნებისთვის, რომელშიც ბარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები

ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციები:

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ კომპეტენციას, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. საგნების სწავლება, სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს ამ პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში.

2. გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთშორისი კავშირების დამყარება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს.

3. გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციებია:

- ა) წიგნიერება. ტრადიციული გაგებით, სიტყვა "წიგნიერება" გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს. თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;

- ბ) მედიაწიგნიერება. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიაურმა ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე

მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ, აუცილებელია მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ, მედია სამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.

ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

გ) ციფრული წიგნიერება (იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება). თანამედროვე მსოფლიოში საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ წიგნიერების ცნება კიდევ უფრო გააფართოვა. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც, რასაც მთლიანობაში ციფრული წიგნიერება ეწოდება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას მოსწავლეებში;

დ) რაოდენობრივი წიგნიერება. რაოდენობრივი წიგნიერება არის იმ უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელთა დაუფლება მოსწავლეს უადვილებს რიცხვის არსის გააზრებას, რაოდენობის სხვადასხვა ხერხით გამოსახვას, რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებას. ეს უნარ-ჩვევები მოსწავლეს სჭირდება არა მხოლოდ მათემატიკის, არამედ სხვა საგნების შესასწავლადაც;

ე) ეკოლოგიური წიგნიერება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის საღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში;

ვ) მრავალენობრივი (პლურლინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის შინაგანი უნარი, დაეუფლოს და გამოიყენოს ენა/ენები. ნებისმიერ საგანში ცოდნასა და უნარებს მოსწავლე ენობრივი აქტივობების საშუალებით იძენს. შესაბამისად, ყველა საგანს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მოსწავლის მრავალენობრივი კომპეტენციის განვითარებაში;

ზ) სემიოტიკური კომპეტენცია. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრებისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგ. სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარი;

თ) სწავლის სწავლა. სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშავოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;

ი) სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა

და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

**2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის
გადახედვის სქემა**

| N | საკითხთა ჩამონათვალი | გადახედვის პერიოდი/თარიღი |
|----|--|---|
| 1. | ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება | I სემესტრის ბოლოს, დეკემბერი, 2022 II სემესტრის ბოლოს - ივნისი, 2023 |
| 2. | სასკოლო სასწავლო ზადე | სასწავლო წლის ბოლოს - ივნისი, 2023 |
| 3. | სახელმძღვანელოების ნუსხა | სასწავლო წლის ბოლოს - ივნისი, 2023 |
| 4. | ინდივიდუალური სასწავლო გეგმა | I სემესტრის ბოლოს, დეკემბერი, 2022 II სემესტრის ბოლოს - ივნისი, 2023 |
| 5. | შეფასების პრინციპები | I სემესტრის ბოლოს, დეკემბერი, 2022 II სემესტრის ბოლოს - ივნისი, 2023 |
| 6. | სადამრიგებლო პროგრამა | I სემესტრის ბოლოს, დეკემბერი, 2022 II სემესტრის ბოლოს - ივნისი, 2023 |